ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

34(05)
ს-29.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. ივნისის 11. № 12 ცხილისი

15418

შინაარსი

მრეწველობა.

117. საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და აპარატის გადასინჯვის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

118. სადაზღვეო სათესლე ფონდების დებულების მე-13 მუხლის გაუქმებისა და მე-14 მუხლის შეცვლის შესახებ.

119. 1934 წელს ბაღებისა, ციტრუსოვანი კულტურებისა და ვენახების მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

120. „საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-7 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ფინანსები.

121. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 23 მუხლისათვის „გ“, „ე“ და „ვ¹“ პუნქტების დამატების შესახებ.

განათლება.

122. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

123. საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს სსრ-ში.

ჯანმრთელობის დაცვა.

124. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

117. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციისა და აპარატის გადასინჯვის შესახებ.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა, მმართველობის ფუნქციონალური მეთოდების მოსპობისა, ზედმეტი რგოლეულების შემცირებისა და ამ კოოპერაციის სისტემაში ერთმმართველობის და მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. №-15 №-ი, მუხ. 103), ადგენენ:

I.

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს („სარეწაო-საბჭო“) რეორგანიზაცია სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის (მრავალსარეწაოებიან) კავშირად („სარეწაო-კავშირი“), სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური სპეციალიზებული კავშირების გაუქმებით და ზემოაღნიშნული მრავალსარეწაოებიანი კავშირისათვის სარეწაო კოოპერაციის სისტემის მეორე ოპერატიული რგოლეულის ფუნქციების დაკისრებით, სახელდობრ: საორგანიზაციო და სამეურნეო ხელმძღვანელობის და მომსახურეობის გაწევა ქვედა ქსელისათვის (ინსტრუმენტებით, ნედლეულით და დამხმარე მასალით მომარაგება, პროდუქციის გასაღების მოწყობა და სხვა მისთ.) და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების წინაშე წარმომადგენლობის დაკისრებით.

2. მიზანშეწონილად იქნეს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის („სარეწაო-კავშირი“) აპარატის შემდეგი სტრუქტურის დაწესება:

ა. ს ა დ ა რ გ ო ს ა წ ა რ მ ო ო ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ე ბ ი:

ა) ტყავ-ფეხსაცმლისა,
ბ) საფეიქრო-სამკერვალო,
გ) ქიმიური,
დ) სამთო-სამშენებლო,
ე) ლითონდამუშავებისა,
ვ) საჭამადო-საგემოო,
ზ) სატრანსპორტო,
თ) სხვადასხვა რეწაობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ფუნქციონალური სექტორები:

ა) ჯუმლობითი დაგეგმვისა და აღრიცხვისა,

ბ) საფინანსო,

გ) საერთო,

დ) სპეციალური,

ე) პასუხისმგებელი აღმასრულებელი კადრების აღრიცხვისა და მომზადებისა,

ვ) ინსტრუქტირების ჯგუფი (განაწილებული საწარმოო-ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით მთელი სისტემისათვის 'საორგანიზაციო და მასური მომსახურეობის გასაწევად);

ზ. კავშირთან არსებული ორგანოები:

ა) სავაჭრო კონტორა (რეწვაჭრობა) ქვედა ქსელის პროდუქციის გასაღებისათვის; კონტორა მოქმედობს დამოუკიდებელი სამაურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციის სახით;

ბ) მუდმივი წარმომადგენლობა ქ. მოსკოვში.

შენიშვნა. ამა მუხლის ა ლიტერში ჩამოთვლილი სადარგო საწარმოო სამმართველოები ანხორციელებენ სათანადო სპეციალიზებული არტელების მუშაობისა და მათში წარმოების მოწყობის საქმის დაგეგმვას და ხელმძღვანელობას (ტექნიკური ხელმძღვანელობა, მატერიალური მომარაგება, პროდუქციის გასაღება, კადრების განწესება, სამუშაო ხელფასის მოწესრიგება და სხვა მისთ.), ანაწილებენ სახსარს, დამტკიცებული ლიმიტების მიხედვით, კაპიტალურ მშენებლობასა და სხვა მიზნებზე და ანხორციელებენ კონტროლს ამ სახსრის წესიერად გამოყენებისათვის.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში და აგრეთვე ქ. ქუთაისში არსებობდენ სარეწაო კოოპერაციის მრავალსარეწაოებიანი კავშირები (ამ სისტემის მეორე ოპერატიული რგოლეულის სახით), სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირისათვის („სარეწაო-კავშირი") მათი დაქვემდებარებით.

4. სარეწაო კოოპერაციის საფინანსო საქმიანობაზე კონტროლის გასაძლიერებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა კავშირის („სარეწაო-საბჭოს") სარევიზიო კომისიასთან იმყოფებოდეს საფინანსო საკითხების ინსპექტორი—სპეციალისტი, ამ კომისიის ხელმძღვანელობის განთავისუფლებული თავმჯდომარისათვის დაკისრებით.

II.

1. მიენდოს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს („სარეწაო-საბჭო"):

ა) განახორციელოს, სარეწაო კოოპერაციის დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ, ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნული სარეწაო კოო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერაციის სისტემის რეორგანიზაცია და აპარატის გარდაქმნა, შტატების მაქსიმალური შემცირებით;

ბ) გადასინჯოს კავშირის სისტემაში შემავალი არტელების და ამხანაგობებისა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქ. ქუთაისის მრავალსარეწაოებიანი კავშირების სტრუქტურა და შტატები და გაამარტივოს და შეამციროს ისინი;

გ) გაანაწილოს საინჟენერო-სატექნიკო მომუშავენი და სპეციალისტნი სისტემის ორგანიზაციებს შორის და მათი თვალსაჩინო ნაწილი სამმართველო აპარატიდან წარგზავნოს წარმოებაზე ქვედა რგოლეულებში.

2. ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის საბოლოო გაფორმებამდე მიენიჭოს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს („სარეწაო საბჭოს") რესპუბლიკანური მრავალსარეწაოებიანი კავშირის ყველა უფლება და დაეკისროს ყველა მოვალეობა.

III.

ვინაიდან, ამა დადგენილებით გათვალისწინებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, საჭიროა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ურთიერთი ანგარიშგასწორების სასწრაფოდ მოწესრიგება და სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაცია, მოწყობილ იქნეს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან („სარეწაო-საბჭო") დროებითი კომისია ამ საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორის წარმომადგენელთა შედგენილობით; დაევალოს ამ კომისიას—გადაწყვიტოს, ორი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოცემისა, სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებით და ამ არბიტრაჟის მიერ საქმეთა განხილვის წესების დაცვით, სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ყველა ქონებრივი დავა და პრეტენზია საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებს შორის.

ზედამხედველობის გაწევა ზემოაღნიშნული დროებითი კომისიის საქმიანობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარ სახელმწიფო არბიტრს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს—შეიმუშაოს, სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირთან ერთად, და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კანონპროექტი საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა შესახებ, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

118. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სადაზღვეო სათესლე ფონდების დებულების მე-13 მუხლის გაუქმებისა და მე-14 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ნოემბრის 4-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სადაზღვეო სათესლე ფონდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 22 №-ი, მუხ. 289) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

2. მე-14 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„14. სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სადაზღვეო სათესლე ფონდების შენახვისათვის და აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორისათვის.

სადაზღვეო სათესლე ფონდების აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება ეკისრებათ სასოფლო საბჭოების მდივნებს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

---

119. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წელს ბაღებისა, ციტრუსოვანი კულტურებისა და ვენახების მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1934 წელს სავალდებულო წესით შემდეგი ღონისძიებანი ბაღებისა, ციტრუსოვანი კულტურებისა და ვენახების მავნებლებთან ბრძოლისათვის:

ა) ყველა ხნის ხილის ბაღებში—შტამბებზე გამხმარი ქერქის შეპოცლა ჩამოცვივნული ფოთლეულისა, მავნებლებთა ბუდეებისა, გამხმარი ნაყოფის შეგროვება და დაწვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ხის კამარებისა და შტამბებისათვის რკინის შაბიამანის 5-პროცენტიანი ხსნარის სხურება ნაყოფმომცემ ბაღებში კვირტის გაშლამდე—7.984 ჰექტარზე;

გ) ბორდოს სითხის 0,5-პროცენტიანი ხსნარის, პარიზის მწვანის შერევით, ორმაგი სხურება ნაყოფმომცემ ბაღებში 3.500 ჰექტარზე ყვავილის გაშლის დამთავრებისას;

დ) პარიზის მწვანის ორმაგი სხურება ნაყოფმომცემ ბაღებში—4.486 ჰექტარზე და ახალ გაშენებულ ბაღებში—6.346 ჰექტარზე;

ე) ყველა ხნის ხილის ბაღებში—ბრძოლა ფოთლის ტილის—550 ჰექტარზე;

ვ) საბჭოთა, მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ციტრუსოვანი პლანტაციების 5-ჯერადი წამლობა: პირველი—ემულსოილის 3-პროცენტიანი ემულსიის სხურება; მეორე—ბორდოს სითხის 0,5-პროცენტიანი ხსნარის სხურება; მესამე და მეოთხე—ემულსოილის 2-პროცენტიანი ემულსიის სხურება და მეხუთე—ბორდოს სითხის 0,5-პროცენტიანი ხსნარის სხურება—ნაყოფმომცემ ნარგავებისათვის 410 ჰექტარზე და ახალი ნარგავებისათვის—1.187 ჰექტარზე;

ზ) ერთპიროვნული მეურნეობების ყველა ხნის ციტრუსოვანი პლანტაციების—სამჯერადი წამლობა ემულსოილით: პირველი—3-პროცენტიანი ემულსიისა და მეორე და მესამე—2-პროცენტიანი ემულსიის სხურება ნაყოფმომცემი ნარგავებისათვის 628 ჰექტარზე, უნაყოფო ნარგავებისათვის—678 ჰექტარზე და 1934 წელს ჩაყრილი ნარგავებისათვის—147 ჰექტარზე;

თ) ვენახებში—პარიზის მწვანის სხურება: ყურძნის ხალის წინააღმდეგ—4.848 ჰექტარზე და მტევნის მგრაგნელის წინააღმდეგ—4.132 ჰექტარზე.

2. ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა ჩატარების ვადები განისაზღვრება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

3. პასუხისმგებლობა ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა თავის დროზე და წესიერად ჩატარებისათვის ეკისრება: საბჭოთა მეურნეობებში—ამ მეურნეობათა დირექტორებს; იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს; იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს და კოლექტიურ მეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

4. ბაღებისა, ციტრუსოვანი კულტურებისა და ვენახების მავნებლებთან ბრძოლის ყოველი ღონისძიება უნდა განახორციელონ უშუალოდ თვით მეურნეობებმა თავიანთი ძალებით და სახსრით.

5. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს—უზრუნველყონ მთელი აგრონომიული პერსონალის უშუალო მონაწილეობა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში.

6. ის, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით დაწესებულ ღონისძიებათა განხორციელებას ან ხელს შეუშლის ამ ღონისძიებათა განხორციელებას, პასუხს აგებს „სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 26-ის დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 94).

7. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, რომელნიც არ უზრუნველჰყოფენ ყველა სამომზადებლო მუშაობის ჩატარებას (შხამებით და აპარატურით მომარაგება) და აგრეთვე ამა დადგენილებით დაწესებულ ღონისძიებათა განსაზღვრულ ვადაზე განხორციელებას, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით, შესაბამისობით.

8. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააღრიცხვო სასამსახუროს სადეკადო ცნობები ბაღებისა, ციტრუსოვანი კულტურებისა და ვენახების მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების საქმის მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1933 წ. აპრილის 7.
ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

120. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-7 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 207) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთათვის, რომელნიც სათანამდებობო ჯამაგირს იღებენ თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილებისა „საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთათვის სასყიდლის მიცემის სისტემის შეცვლის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 63), აგრეთვე სამეურნეო და საინჟენერო-სატექნიკო დარგის მომუშავეთათვის, რომელნიც სამუშაო ხელფასს იღებენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. თებერვლის 8-ის დადგენილების თანახმად, მყარდება ბინის ქირის შემდეგი განაკვეთები.

როდესაც თვიური სამუშაო ხელფასი არის					ბინის ქირის განაკვეთი კვადრ. მეტრზე	
325	მანეთამდე				44	კაპ.
326	მანეთიდან	350	მანეთამდე		50	„
351	„	375	„		54	„
376	„	400	„		58	„
401	„	425	„		62	„
626	„	450	„		66	„
451	„	475	„		70	„
476	„	500	„		74	„
501	„	525	„		78	„
526	„	550	„		82	„
551	„	575	„		86	„
576	„	600	„		91	„
601	„	625	„		96	„
626	„	650	„		101	„
651	„	675	„		106	„
676	„	700	„		111	„
701	„	725	„		116,5	„
726	„	750	„		122,5	„
751	„	800	„		127,5	„
800	მან. მეტი				132	„

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის დამატების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 117 №-ში 1934 წ. მაისის 22.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

121. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსალებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 23 მუხლისათვის „მ“, „ე“ და „ვ¹“ პუნქტების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსალებთა შესახებ გამოცემული 1931 წლის აპრილის 3-ის დადგენილების 23 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 108) დაემატოს „გ“, „ე“ და „ვ¹“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[23. გადასახადისაგან (სანახაობასა და გასართობზე) განთავისუფლდებიან შემდეგ გასართობსა და სანახაობაზე მიმსვლელნი: .....]

„გ) სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ცნობილია აკიდემიურ თეატრად;

ტფილისის რუსული დრამის ტეატრში“;

„ე) სანახაობასა და გასართობზე, რასაც გამართავს მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის შენაერთი“;

„ვ¹) ხმოვანი მოძრავი კინოს სეანსებზე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

122. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობაში და აპარატის აგებულობაში საორგანიზაციო ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო,—სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული 1934 წ. მარტის 15 დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103) შესაბამისად, ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

ა. სამმართველოები:

1) დაწყებითი და საშუალო სკოლისა და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა სამმართველო, რომელიც განაგებს პროგრამების და სასწავლო წიგნების შემუშავებისა, სწავლების მეთოდების დამყარებისა, სკოლების ინსტრუქტირებისა, სკოლამდე აღზრდისა, სასკოლო მეურნეობისა და პედაგოგიური პერსონალის შერჩევის საქმეს და ანხორციელებს სკოლების ხელმძღვანელობას, და სხვა მისთ.

2) საპედაგოგო კადრების მომზადების სამმართველო, რომელიც განაგებს პროგრამებისა, სასწავლო წიგნებისა და მეთოდების შემუშავებას პედაგოგიკური უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის და ანხორციელებს ღონისძიებათ საპედაგოგო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და სხვა მისთ.

3) სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სამმართველო, რომელიც უწევს კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას უნივერსიტეტს, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, ცენტრალურ და სარაიონო ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს და განაგებს სამეცნიერო და სამეცნიერო-საპედაგოგო მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და სხვა მისთ.

4) თეატრებისა და სანახაობის საწარმოთა სამმართველო, რომელიც განაგებს თეატრებს, საესტრადო ხელოვნებას, სათეატრო ხელოვნების კადრების მომზადების საქმეს და სხვა მისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. განყოფილებები.

1) კულტურულ-მასური მუშაობის განყოფილება, რომელიც განაგებს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს, ქოხ-სამკითხველოებს, კლუბებს, კულტურისა და დასვენების სახლებს, სკოლებსა და კურსებს მოზრდილთათვის და სხვა მისთ.

2) საბიბლიოთეკო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მასურ და სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

3) საგეგმო-საფინანსო განყოფილება, რომელიც განაგებს სახალხო განათლების ბიუჯეტის საერთო დაგეგმვისა და შედგენის საქმეს, ეწევა ბიუჯეტის აღსრულების კონტროლს და სხვა მისთ.

4) სპეციალური განყოფილება.

5) საერთო განყოფილება—საქმეთა მმართველობა.

2. დატოვებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა („სახელგამი)", ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველო („მთავლიტი") და მთავარი სარეპერტუარო კომიტეტი („მთავრეპერტკომი").

3. გაუქმებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია და შეიქმნას კომისარიატთან საბჭო 35 კაცის შედგენილობით, რომელშიაც ადგილები არა ნაკლებ 50%-ისა უნდა დაეთმოს რაიონების წარმომადგენლებს. საბჭო იკრიფება პერიოდულად ორ თვეში ერთხელ.

4. სამმართველოებისა და განყოფილებებისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებისა და მათში გაუპიროვნების ლიკვიდაციის მიზნით, სრული პასუხისმგებლობა ბიუჯეტის აღსრულებისა და მათი ქვემდებარე სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისათვის დაეკისროს სათანადო სამმართველოებს და განყოფილებებს.

5. გაუქმებულ იქნეს მომარაგებისა და მშენებლობის განყოფილება და მისი ფუნქციები მომარაგების სფეროში გადაეცეს სათანადო სამმართველოებს და განყოფილებებს.

6. მთელი მუშაობა ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და მთლად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში განაწილებისათვის თავმოყრილ იქნეს სახალხო კომისრის გამგებლობაში.

7. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან, სახალხო კომისრის მოადგილის თავმჯდომარეობით, საატესტაციო საკვალიფიკაციო კომისია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის ხელმძღვანელი კადრებისათვის. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს კომისიის შედგენილობა და აგრეთვე შეიმუშაოს ცოდნათა სავალდებულო საზოგადოებრივ-პედაგოგიკური მინიმუმი არა მარტო ახლად მისაღები, არამედ აგრეთვე ამ ჟამად მომუშავე სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებათა გამგეებისა და ინსტრუქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის, სკოლების და ტექნიკუმების გამგეებისა და სახალხო განათლების სხვა მომუშავეებისათვის.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გარდაქმნას სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებათა აპარატი „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილების საფუძვლებზე.

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 25 №-ი, მუხ. 334) გაუქმებულ იქნეს.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შტატი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

---

123. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს სსრ-ში.

„საბჭოთა კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 27 მარტის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 18 №-ი, მუხ. 141), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გადააკეთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოდ და დააკისროს მას:

ა) სახელმწიფო კონტროლის გაწევა ყველა ბიბლიოთეკის მუშაობისათვის იმისდამიუხედავად, თუ რომელ ორგანიზაციას ეკუთვნის იგი;

ბ) ხელმძღვანელობის გაწევა ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისათვის და ბიბლიოგრაფიული დაწესებულებებისათვის;

გ) ბიბლიოთეკებისათვის გამოცემათა სარეკომენდაციო სიების შედგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საბიბლიოთეკო კადრების სისტემატური შესწავლა, შერჩევა და მოამზადება;

ე) საერთო საბიბლიოთეკო სტატისტიკური ცნობების შეგროვება;

ვ) ყველა ბიბლიოთეკის აღრიცხვა;

ზ) სახალხო განათლების ორგანოების საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ქალაქად და სოფლად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს მოაწყონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო განათლების ცენტრალურ ორგანოებთან და ტფილისის საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების კულტურულ-მასობრივ განყოფილებასთან საბიბლიოთეკო სექტორები.

წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოაწყოს პროფესიონალურ კავშირთა ბიბლიოთეკების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის საბიბლიოთეკო მუშაობის სექტორი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აპარატში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, დააწესოს 1935 წლის იანვრის 1-დან სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებებში ბიბლიოთეკების ინსპექტორის თანამდებობა, რომელსაც დააკისროს პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელისათვის და კონტროლის გაწევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფესიონალური კავშირები, კოოპერაცია და სხვ.) საბიბლიოთეკო მუშაობისათვის

4. სხვადასხვა უწყების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქსელში შემავალი ბიბლიოთეკების მუშაობის საერთო საფუძვლების დასაწესებლად და ამ უშაობის შესათანხმებლად, მოეწყოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოსთან საბიბლიოთეკო საქმის საბჭო, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტიკური სექტორისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა, გამომცემლობა „სახელგამისა“, ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისა“, „ტექნიკა და შრომა“ და „ფედერაცია“ გამომცემლობებისა, „პარტგამომცემლობისა“, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტისა და აგრეთვე საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილი მომუშავენი.

5. დადგენილ იქნეს საქალაქო, სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ მომუშავეთა დანიშვნის წესი—სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო განყოფილებების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალურ კავშირთა ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ მომუშავეთა დანიშვნა და დამტკიცება განხორციელდება სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციების მეშვეობით.

ყველა ბიბლიოთეკარმა აუცილებლად უნდა გაიაროს საკვალიფიკაციო კომისია, რომელსაც მოაწყობს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველო.

6. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოახდინოს ხელახალი რეგისტრაცია ყველა ბიბლიოთეკისა, მათ რიცხვში, საუწყებო ბიბლიოთეკებისა.

ახლად გახსნილ ბიბლიოთეკას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებაში.

7. პასუხისმგებლობა მასობრივი ბიბლიოთეკების (სარაიონო, საქალაქო, სასოფლო, ქოხ-სამკითხველოებთან, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან არსებული ბიბლიოთეკები და აგრეთვე საბავშვო ბიბლიოთეკები) მდგომარეობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს.

პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკების უშუალო მმართველობისათვის და ბიბლიოთეკების მუშაობისათვის საწარმოებსა და პროფესიონალურ კავშირთა კლუბებში დაეკისროს პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ხოლო სახალხო განათლების ორგანოებს დაჰრჩეს უფლება—კონტროლი გაუწიონ ამ ბიბლიოთეკების ქსელს და მათ მუშაობას.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სექტორთან ერთად, მოაწყოს საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან დასაყრდენი ბიბლიოთეკები და დაეკისროს მათ მუშაობა საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებისათვის დახმარების აღმოსაჩენად წიგნით და აგრეთვე საკოლმეურნეო აქტივის მომსახურეობა წიგნით, ლიტერატურის სპეციალურად შერჩევის საშუალებით.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შექმნას თვითეულ სკოლაში საბავშვო ბიბლიოთეკა.

10. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მიაქციოს ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა მტკიცე და სისტემატური მუშაობა მკითხველების ინსტრუქტირებისათვის წიგნების სარგებლობის წესისა და, უპირველეს ყოვლისა, წიგნებისადმი გაფრთხილებით მოპყრობის შესახებ.

დაევალოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და უწყებებს ჩაატარონ ანალოგიური მუშაობა მათ გამგებლობაში არსებული ბიბლიოთეკების ხაზით.

ბიბლიოთეკის მოშლისა, საბიბლიოთეკო ფონდის გაფლანგვისა, ბიბლიოთეკის უყაირათოდ შენახვისა და აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნების მითვისებისა, დაკარგვისა და გაფუჭებისათვის დამნაშავე პირი აუცილებლად მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

11. მკითხველთა უკეთესად მომსახურეობისათვის საჭიროა ფართოდ იქნეს შემოღებული პრაქტიკაში წიგნების გაცვლა ბიბლიოთეკებს შორის სპეციალურ საკითხებზე.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს შეიმუშაონ ღონისძიებანი 1934 წლის განმავლობაში ყველა არსებული ბიბლიოთეკის აღწერის ჩასატარებლად და მომავალში დააწესონ ბიბლიოთეკების პერიოდული ანგარიშგება.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს დააწესოს, გამომცემლობებთან და გავრცელების ორგანოებთან ერთად, გამოცემათა ტირაჟის წილი, რაც დაბრონირებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკების მოსამარაგებლად.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, მოაწყოს 1935 წლის იანვრის 1-დან ცენტრალური საბიბლიოთეკო კოლექტორის მიერ ბიბლიოთეკების უშუალო მომსახურეობა და მის მიერვე ამ ბიბლიოთეკების წინასწარი შეკვეთების შესრულება ახალი ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად.

საბიბლიოთეკო კოლექტორი გათანასწორებულ იქნეს წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებთან, და წინადადება მიეცეს ყველა გამომცემლობას მისცეს საბიბლიოთეკო ქსელს გამოცემები სათანადო ფონაკლებით.

15. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს მკითხველთა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა საქართველოს წიგნის პალატასთან და ეს უკანასკნელი შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო სამმართველოს სისტემაში.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, გაშალონ ბიბლიოთეკის მომუშავეთა კადრების მომზადება და გადამზადება ისეთი ანგარიშით, რომ მეორე ხუთწლედის დასასრულს სახელმწიფო, მნიშვნელოვანი საქალაქო, სარაიონო და დიდი საქარხნო-საფაბრიკო ბიბლიოთეკების ინსტრუქტორთა შემადგენლობა და ხელმძღვანელი კადრები დაკომპლექტებულ იქნეს, ნახევრად მაინც, უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მომუშავეებით (250 კაცი).

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურულ

ფაკულტეტის შედგენილობაში 1934-1935 სასწავლო წლიდან გამოყოს ბიბ-ლიოთეკათ-მცოდნეობის სექცია ერთ ჯგუფად, დამტკიცებული კონტინგენტების და ასიგნვების ფარგლებში.

18. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისა-რიატს შეიმუშაოს საკითხი 1935 წლის იანვრის 1-დან ქ. ტფილისში ერთი სპეციალური საბიბლიოთეკო ტექნიკუმის გახსნის შესახებ ისე, რომ ტექნიკუ-მის მსმენელთა შეგროვება ხდებოდეს რაიონებიდან წინასწარი განაწილების მიხედვით.

19. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისირიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოამზადონ 1934-1935 წლებში საკურსო ლონისძიებების საშუალებით მასობრივი ბიბლიოთეკების არა ნაკლებ 70 მომუშავისა და უზრუნველყონ გადამზადება ძირეული საბიბლიოთეკო მომუ-შავეების არსებული შედგენილობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

20. დაწესებულ იქნეს სტიპენდიები საბიბლიოთეკო სასწავლებლებში პე-დაგოგიკური სასწავლებლებისათვის დადგენილი რაოდენობით.

21. რადგანაც ბიბლიოთეკების დაფინანსება არასაკმარისია, რადგანაც გადადებული თანხების მიცემა უგეგმოა და რეგულარულად არა სწარმოებს და რადგან საბიბლიოთეკო მუშაობისათვის გათვალისწინებული სახსარი ზოგჯერ სხვა მიზნისათვის იხარჯება, დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დააწესონ ბიბლიოთეკების მტკიცე ხარჯთაღრიცხვა და სახსრის თავის დროზე მიცემა ლიტერატურის შესაძენად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს საკონტროლო ციფრების შედგენის დროს მხედველობაში მიიღონ საბიბლიოთეკო საქმისათვის სახსრის გადადების აუცი-ლებლობა.

22. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, სა-ქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს 1934-1935 წლე-ბის განმავლობაში გაუკეთონ რემონტი ყველა საბიბლიოთეკო შენობას, უზრუნ-ველყონ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში ნორმალური გაწყობილობა და საჭირო კულტურული პირობები.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართ-ველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მშენებლობის გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალ საბიბლიოთეკო შენობათა მშენებლობას.

23. კატეგორიულად აეკრძალოს ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას ბიბლიოთეკის სადგომების გამოყენება სხვა მიზნისთვის და ბიბლიოთეკის გადატანა უარეს სადგომში. ამ მოთხოვნის დამრღვევნი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

24. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს 1934 წელს, სათანადო დაწესებულებების მონაწილეობით, ბიბლიოთეკების საწარმოო მომარაგება საბიბლიოთეკო გაწყობილობის და ტექნიკის საგნებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მაისის 14.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

124. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში და აპარატის აგებულებაში საორგანიზაციო ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103), ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: ა) სამკურნალო-პროფილაქტიკური, ბ) სანიტარულ-პროფილაქტიკური, გ) საორგანიზაციო-საგეგმო, დ) კადრების მომზადებისა და განაწილებისა, ე) სტატისტიკური და ვ) საფინანსო.

2. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ზემდეგი სტრუქტურა:

ა) საავადმყოფოთა და საავადმყოფოების გარეშე დახმარების დაწესებულებათა სამმართველო;

ბ) საბავშვო ბაგების სამმართველო;

გ) მთავარი სასანიტარო ინსპექცია;

დ) საგეგმო-საფინანსო სამმართველო;

ე) სამედიცინო განათლების განყოფილება;

ვ) სპეციალური განყოფილება;

ზ) საქმეთა მმართველობა;

თ) მთავარი საკურორტო სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) სააფთიაქო სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე);

კ) სამკურნალო კომისია (განსაკუთრებული შტატით).

3. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგია და მოეწყოს სახალხო კომისარიატთან საბჭო, რომელიც მოიწვევა პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ; საბჭოს შედგენილობაში, არა ნაკლებ ნახევარი შედგენილობისა, უნდა შედიოდენ ჯანმრთელობის სარაიონო განყოფილებების წარმომადგენელნი.

4. ლიკვიდირებულ იქნეს მთავარი საკურორტო სამმართველოს შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: ა) აღსრულების კონტროლი, ბ) ტოპოგრაფიული სექტორი, გ) კადრების სექტორი, დ) სასტატისტიკო-სააღრიცხვო სექტორი, ე) რაციონალიზაციის ბიურო და ვ) იურიდიული ნაწილი.

5. დამტკიცებულ იქნეს მთავარი საკურორტო სამმართველოს შემდეგი სტრუქტურა:

ა) სატყეო განყოფილება;

ბ) მინერალური წყლების განყოფილება;

გ) სამედიკო-სასანიტარო განყოფილება;

დ) კურორტებთან არსებულ მეურნეობათა განყოფილება;

ე) სამშენებლო-სატექნიკო განყოფილება;

ვ) მომარაგების განყოფილება;

ზ) საგეგმო-საფინანსო განყოფილება მთავარი ბუხჰალტერიითურთ;

თ) საქმეთა მმართველობა.

6. გაუქმებულ იქნეს საკურორტო სამმართველოები ახტალისა, შამშოვისა და ბახმაროს კურორტებზე და ეს სამმართველოები შეიცვალოს საბჭოთა მეურნეობების დირექციებით.

დატოვებულ იქნეს შემდეგი საკურორტო სამმართველოები: ბორჯომისა, აბასთუმნისა და წყალტუბოსი.

დატოვებულ იქნეს მთავარი საკურორტო სამმართველოს შედგენილობაში სამეურნეო ანგარიშზე მომქმედი „ბორჯომმინწყალი“

7. ლიკვიდირებულ იქნეს სააფთიაქო სამმართველოს შემდეგი ფუნქციონალური განყოფილებები და სექტორები: ა) საწარმოო განყოფილება, ბ) საგეგმო-ეკონომიური განყოფილება, გ) საფინანსო სექტორი და დ) კადრების სექტორი.

8. დამტკიცებულ იქნეს სააფთიაქო სამმართველოს შემდეგი სტრუქტურა:

ა) სავაჭრო განყოფილება;

ბ) საგეგმო-საანგარიშო ჯგუფი;

გ) ინსპექცია;

დ) სამრეწველო საწარმოთა ინსტრუქტორი;

ე) სპეციალური განყოფილება;

ვ) კანცელარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს— დაამტკიცოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შტატი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1934 წ. მაისის 14.
ტფილისი.

---

125. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადაცემული შენობების ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიოა საბჭო ადგენს:

საკურორტო-საბინაო ფონდების დიდი ნაკლებობის გამო აიკრძალოს ყოველგვარი ჩამორთმევა საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადაცემული შენობებისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. აპრილის 21.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 21. 3/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1¼ ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 25/V, ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 34 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 877